

ვებგვერდი, 02/09/2015
სარეგისტრაციო კოდი
040030000.22.055.016051

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
ბრძანება №01/850
2015 წლის 31 აგვისტო ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საშუალო პროფესიული
სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის საჯარო სამართლის
იურიდიულ პირად – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯად
რეორგანიზაციისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
2014 წლის 13 მაისის № 01/375 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯად რეორგანიზაციისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2014 წლის 13 მაისის № 01/375 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 14.05.2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.055.016041) დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის წესდების“ პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული მისამართის გარდა, კოლეჯი წინამდებარე წესდების შესაბამისად სასწავლო პროცესს ასევე ახორციელებს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ქუთაისი, უზნაძის ქ. № 26/როძევიჩის ქ. № 2“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის

საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე

აკაკი ლოდია